პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ხუთშაბათი 4 მაისი 1978 წ. № 105 (17149) ფასი 2 კაპ.

1920 — გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან — 1978



დღეს თბილისში მუშაობას იწყებს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის, საქართველოს სსრ მწერალთა კავშირის გაერთიანებული სამეცნიერო სესია, რომელიც ეძღვნება სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მოგონებების წიგნებს — „მცირე მიწასა“ და „აღორძინებას“.

ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ნაწარმოებები დიდი იდეოლოგიური ძალაა. გამსჭვალულია სოციალური optimizmით, ისინი მოგვიწოდებს ვუერთგულოთ საბჭოთა ხალხის რევოლუციურ, საბრძოლო და შრომითს ტრადიციებს, შთამაგონებელი შრომით ვამრავლოთ სამშობლოს ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერება. ისინი პარტიულ მუშაკებს, პროპაგანდისტებს, ყველა კომუნისტს ეიარაღებს პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის ფასდაუდებელი გამოცდილებით, მუშაობისა, რომელიც მათ უნარიანად უნდა გამოიყენონ და დარაზმონ მშრომელები სკკპ ისტორიული XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად.

ჩვენი გაზეთის დღევანდელი ნომრის მასალები ამ მნიშვნელოვან მოვლენას ეძღვნება.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის პასუხი

გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყოველკვირეულ „ფორვერტსის“ კითხვებზე

კითხვა. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში თქვენს ვიზიტთან დაკავშირებით გვინდა შეგიტყოთ, თუ როგორ აფასებთ ჩვენი ორი ქვეყნის ურთიერთობის ახლანდელ მდგომარეობას და მომავალში მისი განვითარების პერსპექტივებს.

პასუხი. მომაჩნია, რომ ჩვენი ქვეყნების ურთიერთობა წარმატებით ვითარდება ბევრი მიმართულებით. მას, ჩვენი აზრით, მომავლის კარგი პერსპექტივები აქვს, თუ, რა თქმა უნდა, არ წაიწყდება ხელოვნურად შექმნილ დაბრკოლებებს.

თქვენს კითხვასთან დაკავშირებით არ შემიძლია არ გავიხსენო საბჭოთა კავშირისა და ფედერაციული რესპუბლიკის ხელშეკრულება, რომელიც მოსკოვში დაიდო 1970 წლის აგვისტოში. ორივე ხალხისათვის მეტისმეტად ტრაგიული იყო წარსული და ამიტომ არ შეიძლება ჯეროვნად არ შევაფასოთ მაშინ მომხდარი გაბედული შემობრუნება.

ხელშეკრულება საერთაშორისო მასშტაბის დიდი მოვლენა გახდა. იგი იყო ერთ-ერთი ქვაკუთხედი დაძაბულობის შენელების საძირკველში. მან ბიძგი მიცა პოზიციურ განვითარებას. რომელსაც დიდი ხანია ველოდით. მას მოჰყვა მთელი რიგი სხვა შეთანხმებანი, მათ შორის მრავალმხრივიც.

მას შემდეგ დიდი გზა განვლეთ. გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ დიდმნიშვნელოვანი ხელშეკრულებანი დაუდო პოლონეთის სახალხო რესპუბლიკას, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკას. სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ურთიერთობამ თვისებრივად ახალი ხასიათი შეიძინა. თანამშრომლობა ნორმა გახდა. დამყარდა გარკვეული ნდობა ერთმანეთის სიტყვისადმი. ერთობლივ დოკუმენტებზე ხელმოწერისადმი. ერთმანეთს ხვდებიან მთავრობის წევრები, პარლამენტარები, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწენი, მოგზაურობენ მრავალფეროვანი დელეგაციები. გვარდება კულტურული და ტურისტული გაცვლა. ერთი სიტყვით, შეძენილია მრავალფეროვანი კავშირურთიერთობის საკმაო გამოცდილება.

გასაგებია, რომ სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაყოფიერი კავშირურთიერთობის მოგვარებასა და განმტკიცებაში გარკვეული როლი შეასრულა და კვლავაც ასრულებს უმაღლესი დონის შეხვედრები. მათ ყოველთვის რაღაც ახალი, დადებითი მოაქვს, ძნელი ხლართების გახსნის, შემდგომი პროგრესის მომასწავებელ გადაწყვეტილებათა მიღების შესაძლებლობას იძლევა. ამიტომ გასაკვირი არ არის ის დიდი ინტერესი, რომელსაც ახლა თქვენში და სხვა ქვეყნებშიც იჩენენ პრეზიდენტ ვ. შეელთან და კანცლერ ჰ. შმიდტთან ბონში ჩვენი მომავალი ხაუბრებისადმი. მე სიამოვნებით შევხვდები თავმჯდომარე ვ. ბრანდტსაც, რომელთან ერთად დავიწყეთ ორი ქვეყნის კეთილი ურთიერთობისათვის გზის გაწმენდა.

ურთიერთობა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან საბჭოთა კავშირის მრავალმხრივი, არსებითად მსოფლიო კავშირურთიერთობის ნაწილია. მაგრამ ეს მეტად მნიშვნელოვანი ნაწილია. ჩვენი ორი ქვეყნის პოზიციებსა და მათ ურთიერთგაგებაზე ხომ ძალიან ბევრი რამ არის დამოკიდებული ევროპის საქმეებშიც და უფრო ფართო თვალსაზრისითაც. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკასა და სსრ კავშირს ურთიერთობის მდგომარეობა საერთაშორისო დაძაბულობის შენელების, ევროპაში, და არა მარტო ევროპაში, შშვიდმიანი თანაარსებობის მკრძნობიარე მაჩვენებელია.

მინდა ერთხელ კიდევ გავუსვა ხაზი: ფედერაციულ რესპუბლიკასთან კეთილმეზობლობისა და ხელსაყრელი ურთიერთობის კურსი ჩვენი პარტიისა და ხალხმწიფოს პრინციპული ხაგრძლივი კურსია.

განა შეიძლება ითქვას, რომ სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ურთიერთობაში არ არსებობს არავითარი პრობლემა, არავითარი ხიძნელე? რა თქმა უნდა, არა, ასეთი პრობლემები არის, თუმცა ისინი ერთნაირი ხასიათისა როდია.

არის საქმის ობიექტური მხარე, უწინარეს ყოვლისა — თვით ის ფაქტი, რომ ჩვენ ვცხოვრობთ სხვადასხვა საზოგადოებრივი სისტემის ხალხმწიფოებში. აქედან გამომდინარეობს ბევრი სირთულე ურთიერთობის სხვადასხვა სფეროში. მაგრამ უნდა ვისწავლოთ ცხოვრება მშვიდობის პირობებში და თანამშრომლობა ითმოთ, რომ არ არსებობს ხალხმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის გონივრული ალტერნატივა.

მაგრამ არის სხვაგვარი ხიძნელენი და დაბრკოლებანიც. მათ იწვევს ის ძალების გამაწყნარებლობა, რომლებიც აგრესიულად არიან განწყობილი ხოციალიზმის მიმართ, მისტრიალ „ცივი ომის“ დროს. სწორედ ეს ძალები ხხვადასხვა იურით ბოლოეული ხაბადით სისტემატურად აწყობენ ანტიხაბჭოთა კამპანიებს. პროვოკაციულად იწვევენ გართულებებს, ცდილობენ ჩაერიონ ჩვენს საშინაო საქმეებში, გააძლიერონ გამალებული შეიარაღება. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში საკმაოდ გავლენიანი ამ ძალების მოქმედება ხელს უშლის ჩვენი ორი ქვეყნის ურთიერთობის თანაბარ განვითარებას. ახუსტებს საერთაშორისო საქმეებში ჩვენი თანაშრომლობის შესაძლებლობებს.

დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენს დროში ხახელმწიფოთა ურთიერთობის ნებისმიერი პრობლემა გადაწყდება, თუ მათ მშვიდად და გონივრულად, იმის სურვილით მიუდგებით, რომ გავუგოთ პარტნიორს, თავიდან ავიცილოთ ვნებათაღელვის გაღვივება, უთანხმოების გამწვავება. თუ ორივე მხარე კეთილ ნებას გამოიჩენს, შეიძლება ოპტიმიზმით შეეყურებოდეთ მომავალს.

კითხვა. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ზოგიერთი იმ აზრისა, რომ სსრ კავშირთან საქმიანმა კავშირურთიერთობამ უკვე მიაღწია თავის ზღვარს. როგორია თქვენი აზრი ამ საკითხზე?

პასუხი. ვფიქრობ, რომ ეს ასე არ არის. აიღეთ ციფრების დინამიკა, რომლებიც ახასიათებს სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ვაჭრობის ზრდას. იგი საკმაოდ შთამბეჭდავად გამოიყურება. 1977 წელს 1973 წელთან შედარებით საქონელბრუნვა გაზრდილა 2,5-ჯერ, ხოლო 1970 წელთან შედარებით — 3,5-ჯერ. პირველი ადგილი უკავია გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან ჩვენს ვაჭრობაში. ჩვენ ბევრი ურთიერთსასარგებლო შეთანხმება გვაქვს დადებული. ამის კარგი მაგალითია კონტრაქტი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მილების სანაცვლოდ საბჭოთა ბუნებრივი გაზის მიწოდების შესახებ. მისი მნიშვნელობა განისაზღვრება არა მარტო მასშტაბით, არამედ იმითაც, რომ იგი გათვალისწინებულია ხანგრძლივი ვადით — ორი ათას წლამდე. ეს თითქოსდა სიმბოლოდ გამოხატავს ორმხრივ მისწრაფებას ორი ქვეყნის მყარი და მტკიცე ეკონომიკური კავშირურთიერთობისადმი.

დასავლეთ გერმანიის ფირმები მონაწილეობენ ჩვენთან მსოფლიოში უდიდესი ოსკოლის ელექტრომეტალურგიული კომბინატის აგებაში, „შერმეტიეფოს“ აეროპორტის მშენებლობაში. ახლახან ვიუკვი ბაიკალ-ამურის მაგისტრალის — ამ მართლაც რომ „საუკუნის მშენებლობის“ რაიონში. იქ კარგად მუშაობენ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში შესყიდული სატვირთო ავტომანქანები. ბევრ თქვენს მოქალაქეს შეუყვარდა ვოლგის ქარხნის ავტომობილი „ლადა“. კიდევ ბევრი მაგალითის მოყვანა შეიძლებოდა.

მაგრამ, რომ ვთქვათ, თქვენს ქვეყანასთან ეკონომიკური კავშირურთიერთობის მდგომარეობა სავსებით გვაკმაყოფილებს, ეს ტყუილი იქნებოდა. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფირმებისა და ჩვენი ორგანიზაციების ურთიერთობაში ყველაფერი და ყოველთვის ისე არ გამოდის, როგორც გვინდა. ჩვენ ეს ვიცით და ჩვენი მხრივ ვცდილობთ დროულად მივიღოთ საჭირო ზომები. იმედი გვაქვს, რომ ფედერაციული რესპუბლიკაც თავის წვლილს შეტანს არსებულ სიძნელეთა დაძლევაში. ჩვენ მოველოთ. მაგალითად, რომ ბოლოს და ბოლოს, გაუქმდეს საბჭოთა საქონლის შეტანის შეზღუდვები, შეიქმნება უფრო ხელსაყრელი საბაჟო რეჟიმი.

მე უკვე ვთქვი, რომ ჩვენი ორი ქვეყნის ეკონომიკას შეუძლია ზოგიერთ რამეში შეავსოს ერთმანეთი. შრომის სულ უფრო მზარდი საერთაშორისო დანაწილება დიდ შესაძლებლობებს უსახავს ყველა ქვეყანას. მაგრამ არის უდიდესი რეზერვი, რათა მუდმივად იზრდებოდეს ჩვენი ეკონომიკური კავშირურთიერთობაც ორივე მხარის ინტერესებისათვის. ამასთან ხომ შეიძლება არ შევიზღუდოთ ეკონომიკური კავშირურთიერთობის უკვე ჩამოყალიბებული ფორმებით, ვეძებთ ახალი ფორმები, გამოვიჩინოთ საზრიანობა, რომელიც, რა თქმა უნდა, დამყარებული იქნება გონივრულ ანგარიშსა და ურთიერთსარგებლიანობის პრინციპზე.

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში საბჭოთა ექსპორტის წილი სსრ კავშირის ერთობლივ საზოგადოებრივ პროდუქტთან შედარებით 0,09 პროცენტს შეადგენს, ხოლო დასავლეთ გერმანიის ექსპორტის წილი სსრ კავშირში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთლიან საზოგადოებრივ პროდუქტთან შედარებით 0,6 პროცენტით განიზომება. ამიტომ ვერავითარ შემთხვევაში ვერ დავეთანხმებით იმას, თითქოს ჩვენი ორი ქვეყნის საქმიან ურთიერთობაში ზღვარი მიღწეული იყოს.

კითხვა. თქვენი აზრით, რა შესაძლებლობანი არსებობს, რათა გადაიდგას კონკრეტული ნაბიჯები ევროპაში დაძაბულობის შემდგომი შენელების მიმართულებით?

პასუხი. ევროპაში დაძაბულობის შემდგომი შენელება ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ წავა სამხედრო დარგში დაძაბულობის შენელების მომწიფებული, გადაუდებელი საკითხების გადაწყვეტის საქმე. შეიძლება ასეც ითქვას: ისეთ მიჯნას მივუახლოვდით, როცა პოლიტიკური დაძაბულობის შენელების პროცესი უნდა შეეწყვას სამხედრო დაძაბულობის შენელების პროცესს. აი რაკომ არის ახლა ყველაზე მთავარი განვახორციელოთ პრაქტიკული ღონისძიებანი გამალებული შეიარაღების შემცირებისათვის, მისი ალაგმვისათვის.

როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირმა წამოაყენა სამხედრო დაძაბულობის შენელების ღონისძიებათა მთელი პლატფორმა. აქ იგულისხმება უარი, რომ პირველებმა არ გამოიყენონ ატომური იარაღი, არ გავაფართოოთ არსებული სამხედრო დაჯგუფებები, შევზღუდოთ მანევრებში მონაწილე ჯარების რიცხვი.

გასაგებია, რომ არც ერთი წუთით არ უნდა დავიწყოთ საქმის პოლიტიკური მხარეც. ევროპის კლიმატი, რომელიც ხელს უწყობს სამხედრო დაძაბულობის შენელებას, იქმნება სახელმწიფოთა ურთიერთობის ყოველმხრივი განვითარების, მათ ხელმძღვანელ მოღვაწეებს შორის ნდობის განმტკიცების, დადებულ ხელშეკრულებათა პატივისცემის, ჰელსინკის თათბირზე მიღწეულ მორიგებათა თანამიმდევრული შესრულების საფუძველზე.

დასავლეთში ბევრი კეთილმოსურნეულ გამოეხმაურა ჩვენს წინადადებებს, რომ გაიმართოს სრულიად ევროპის კონგრესები გარემოს დაცვის, ტრანსპორტის, ენერგეტიკის დარგში თანამშრომლობის საკითხებზე. თითქოსდა, შეიძლებოდა გადავსულიყავით საქმეზე, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენი დასავლელი პარტნიორები ზოზინებენ და თანამიმდევრულობას არ იჩენენ.

და კიდევ ერთი რამ. ჩვენ იმის მომხრე ვართ, რომ დასავლეთი ბერლინი არ იყოს თეთრი ლაქა ევროპის დაძაბულობის შენელების ოუკაზე. ჯერჯერობით კი ჩვენ ხშირად ვაწყდებით იმის ცდებს, რომ გვერდი აუარონ ოთხმხრივ შეთანხმებას. ხდება აქციები, რომლებიც ცხადყოფენ, რომ ფაქტიურად არ სურთ შეურიგდნენ იმას, რომ ეს ქალაქი არ არის გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაწილი. ყოველივე ეს ეწინააღმდეგება დაძაბულობის შენელების სულისკვეთებას, ართულებს საერთაშორისო ვითარებას. ჩვენ სხვანაირი შეფასება არ შეიძლება გვქონდეს.

იხე, რომ ფაქტორები, რომლებიც დაძაბულობის შენელების ბიდს განსაზღვრავენ, ბევრია, მინდა ვიმეორებ, რომ იმოქმედებენ მხოლოდ ის ფაქტორები, რომლებიც ხელს უწყობენ მის გაღრმავებას.

კითხვა. გამოთქვამენ, და არა მარტო გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში — შეშფოთებას, რომ საბჭოთა კავშირი ზრდის თავის სამხედრო პოტენციალს რაოდენობრივად და თვისებრივად. სისტემატურად და თანამიმდევრულად ისეთ დონეზე, რომელიც აღემატება თავდაცვის მოთხოვნილებას. ხომ მიგაჩნიათ თქვენც, რომ დაძაბულობის შენელება მოითხოვს მორიგებებს სამხედრო დარგშიც — წონასწორობის ბაზაზე?

პასუხი. ნება მიბოძეთ უწინარეს ყოვლისა ვთქვა მთავარი რამ: შეშფოთება, რომელზეც თქვენ ლაპარაკობთ, ყოველგვარ საფუძველს არის მოკლებული. ევროპისა ან მსოფლიოს სხვა რომელიმე ნაწილისათვის საბჭოთა სამხედრო საფრთხე არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს.

თავდაპირველად შევეხოთ საკითხის წმინდა ფაქტიურ მხარეს.

ევროპის შესახებ. დასავლეთის ქვეყნების პრესის ფურცლებზე და ზოგიერთი დასავლელი პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწის გამონათქვამებში ხშირად გაიგონებთ მტკიცებას, თითქოს საბჭოთა კავშირსა და ვარშავის ხელშეკრულების სხვა მონაწილე ქვეყნებს შეექმნათ ევროპის კონტინენტზე „სამხედრო უპირატესობა“ ნატოს ქვეყნებთან შედარებით და კვლავაც ზრდიდნენ იქ თავიანთ შეიარაღებულ ძალებს.

ეს — მეტი რომ არა ვთქვათ — ტენდენციური, შეცდომაში შემყვანი მტკიცებაა.

დავიწყებ იმით, რომ უკვე რამდენიმე წელია საბჭოთა კავშირი არც აფართოებს, არც აძლიერებს თავის შეიარაღებულ ძალებს ცენტრალურ ევროპაში, ესე იგი იმ რაიონში, რომლის შესახებ ახლა მოლაპარაკება მიმდინარეობს ვენაში. უფრო მეტიც: ჩვენ და ჩვენი მოკავშირენი დაბეჯითებით ვთავაზობთ დასავლეთის მხარეს შევთანხმდეთ იქ, რომ ორივე მხარემ ვიკისროთ პირდაპირი ვალდებულება — არ გავადიდოთ ჩვენი შეიარაღებული ძალები და შეიარაღება ცენტრალურ ევროპაში მთელი იმ ხნის მანძილზე, სანამ ვენის მოლაპარაკება გრძელდება. სამწუხაროდ, დასავლეთის ქვეყნებს ჯერჯერობით არ მიუღიათ ეს ჩვენი წინადადება. მათი პრაქტიკული მოქმედება კი სრულიად საწინააღმდეგოა.

რაც შეეხება „უპირატესობას“, იგივე ვენის მოლაპარაკებაზე მხარეებმა ერთმანეთს გააცნეს ოფიციალური ციფრობრივი მონაცემები, რომლებიც ნათლად მეტყველებენ, რომ არ არსებობს არავითარი „უპირატესობა“ ან „დისპროპორცია“, დასავლეთსაც და ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნებსაც ცენტრალურ ევროპაში დაახლოებით თანაბარი რაოდენობის შეიარაღებული ძალები ჰყავთ — 980 ათასზე ცოტა მეტი თითოეულ მხარეს.

რა თქმა უნდა, ეს წონასწორობა ხრული თანასწორობა არ არის. თითოეულ მხარეს შეიარაღებული ძალების საკუთარი სტრუქტურა აქვს, ჩვენ, მაგალითად, მეტი რაკეტები გვაქვს ხახმელეთო ჯარების შემადგენლობაში. ნატოს ბლოკს კი მეტი ატომურმუხტიანი რაკეტები აქვს სამხედრო-საჰაერო ძალების შემადგენლობაში, და ა. შ.

ყოველივე ამას შეგვიძლია დავძინოთ, რომ დასავლელი სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწენი ხშირად იმეორებენ და ამტკიცებენ, მათი აზრით, დასავლეთის თვისებრივ უპირატესობას შეიარაღებაში. საკითხავია: ყოველივე ამის შემდეგ სადღა არის ლოგიკა ამავე წრეების მტკიცებაში, თითქოს არსებობდეს „საფრთხე აღმოსავლეთიდან?“.

საერთოდ და მთლიანად ევროპაში, სადაც ყველაზე ახლოს დგანან პირისპირ ორი სამხედრო-პოლიტიკური დაჯგუფების მთავარი ძალები, უდავოა, არსებობს სამხედრო წონასწორობა. საკითხი ის გახლავთ, საჭიროა თუ არა ამ წონასწორობის დაცვა ისეთ მაღალ დონეზე, როგორიც აქთა არის, თუ შეიძლება ამ დონის დაწევა ისე, რომ არავის, სასარგებლოდ არ დაირღვეს წონასწორობა? ჩვენ საბჭოთა კავშირში მტკიცედ ვართ დარწმუნებული, რომ ეს კიდევაც შეიძლება და საჭიროც არის.

რაც შეეხება ორივე სამხედრო-პოლიტიკური დაჯგუფების მონაწილე ყველაზე დიდი ხახელმწიფოების, ესე იგი საბჭოთა კავშირისა და შეერთებული შტატების ძალების გლობალურ თანაფარდობას, აქ, როგორც ეს ოფიციალურად ცნო ორივე მხარემ, შეიქმნა და რჩება დაახლოებითი პარიტეტი, ესე იგი სტრატეგიული ძალების წონასწორობა. სწორედ ეს პარიტეტი უდგეს საფუძვლად საბჭოთა კავშირ-ამერიკის როგორც 1972 წელს დადებულ, ისე ამჟამად მოშზადების პროცესში მყოფ შეთანხმებას სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის შესახებ.

შეიძლება დავძინოთ, რომ საბჭოთა შეიარაღებული ძალების საერთო რიცხვიც სრულიად არ წარმოადგენს დასავლეთისათვის რაიმე „სამხედრო საფრთხეს“, თუმცა სავსებით საკმარისია იმისთვის, რომ საჭიროების შემთხვევაში საპასუხო დარტყმა მიაყენოს აგრესორს, — სადაც უნდა იყოს იგი — დასავლეთში თუ აღმოსავლეთში. სხვათა შორის, ობიექტურ მეთვალყურეებს, კერძოდ, ამერიკის პრესაშიც, ეს კარგად ეხმიან და აღიარებენ.

ახლა ჩვენს სამხედრო-საზღვაო ფლოტზე. უწინარეს ყოვლისა, შეგახსენებთ უბრალო ფაქტს: საბჭოთა კავშირის საზღვაო საზღვრები 40 ათას კილომეტრს აღემატება. ისეთ პირობებში, როცა ნატოს ქვეყნებს მძლავრი შეტევითი საშუალებანი აქვთ ზღვაზე. ჩვენ მოვალენი ვართ ამ სფეროშიც ვიფიქროთ შესაბამის თავდაცვაზე. ჩვენ შეექმენით ჩვენი საოკეანო ფლოტი, რომელსაც ძალუძს ისეთი თავდაცვის ამოცანის შესრულება. ეს ფლოტი სიმძლავრით არ აღემატება დასავლეთის ქვეყნების ფლოტს, სტრუქტურის თვალსაზრისით კი აშკარა თავდაცვითი ხასიათი აქვს. მაგალითად, შემთხვევითი არ არის, რომ ჩვენ არა გვაქვს და არც ვაშენებთ დამკვრელ ავიაშზიდებს.

აი „საბჭოთა სამხედრო საფრთხე“ მსჯელობის მოტრფიალეთა კიდევ ერთი საყვარელი თემა — ღონისძიებანი, რომლებსაც სსრ კავშირში ახორციელებენ მოსახლეობის სამოქალაქო თავდაცვისათვის. წარმოუდგენელია, მაგრამ ფაქტია: ომის შემთხვევაში შშვიდობიანი მოსახლეობის უშიშროების დაცვის ამ ღონისძიებებსაც კი ანტიხაბჭოური ცილისწამების სპეციალისტები ჩვენს „აგრესიულობას“ მიაწერენ: სსრ კავშირი „პირველი დარტყმისათვის“ ემზადება და იმედი აქვს, რომ საპასუხოს თავშესაფრებში დაემალებაო.

ბეშმარიტად პათოლოგიურად გაუკუღმართებული წარმოდგენა უნდა გქონდეს, რომ ასე თავდაყირა დააყენო ყველაფერი! ნუთუ მოიძებნებიან ჭკუათამყოფელი ადამიანები, რომლებსაც სჯერათ ამგვარი მონარმბანი?

ჩვენ არ გვინდა ომი და არც ვამზადებთ ომს. მაგრამ საბჭოთა ხალხმა საკუთარი მწარე გამოცდილებით იცის, რა უზარმაზარი მსხვერპლი შეიძენება გამოიწვიოს მოსახლეობაში აგრესორის მოქმედებამ. და ჩვენ მეორე მხრივ ისე ხშირად გვსმენია განცხადებანი, მზად ვართ „მძლავრი, გამანადგურებელი, დამსწრური დარტყმებისათვისო“ და ა. შ. რომ არ შეგვიძლია არ განვახორციელოთ დაცვის ღონისძიებანი. მხოლოდ აშკარა ცილისმწამებლებს შეუძლიათ დაინახონ ამაში ვისმეზე თავდასხმისათვის მზადება.

ჩვენთვის უცხოა ზოგიერთ სხვა ქვეყანაში პოპულარული უსულგული რაოდენობრივი მიდგომა ატომური ომის პერსპექტივებისადმი — მიდგომა, რომლის თანახმად სამოქალაქო მოსახლეობის მსხვერპლის რაღაც პროცენტს „მისაღებად“ მიიჩნევენ. ჩვენ სულაც არ გვახარებს ის წონასწორმეტყველებანი, რომლებსაც დასავლეთში ვაიგონებთ: თითქოს მსოფლიო ომიერ ომის დროს პლანეტის მოსახლეობის „მხოლოდ ათი პროცენტი“ დაიღუპება და ეს არც ისე საშინაა, ქვეყნის აღსასრული არ არისო. ჩვენ არავის, მტერსაც კი არ ვუსურვებთ ამ „ათ პროცენტში“ მოხვედრას.

რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, ვიმეორებ, იგი არ ფიქრობს „პირველი დარტყმის მიყენებაზე“. პირიქით, კარგად არის ცნობილი ჩვენი ოფიციალური წინადადება სრულიად ევროპის თათბირის ყველა მონაწილისადმი. მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატებისადმი, — რომ დავდოთ შეთანხმება, რათა პირველმა არ გამოიყენონ ატომური იარაღი ერთმანეთის წინააღმდეგ. ცნობილია ისიც, რომ ნატოს ქვეყნები უარყოფენ ამ წინადადებას, და საკმაოდ გასაგებად აცხადებენ, რომ ეურ შეელეკვნან ჩვენს ქვეყანაზე პირველი დარტყმის მიყენების გეგმებს. მაშინ ვინ ვის ემუქრება?

ასეთია ფაქტიური ვითარება.

ახლა შევეხოთ საკითხის პოლიტიკურ მხარეს.

საბჭოთა კავშირი მართლაც მძლავრი სახელმწიფოა. მძლავრია პოლიტიკურად, ეკონომიკურად და სამხედრო თვალსაზრისით. მაგრამ საბჭოთა კავშირი შშვიდობიანი სახელმწიფოა. მისი შშვიდობისმოყვარეობა თვით ჩვენი საზოგადოების არსებიდან მომდინარეობს, სადაც უფალ ხალხი პოლიტიკური ინსტანციების კანონებითა და გადაწყვეტილებებით გამოცხადებული უზენაესი მიზანია ზრუნვა ადამიანის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურის განუხრელი ამაღლებისათვის. არ არის ამოცანა, რომლის გადაწყვეტაც ომის გზით გვინდოდეს. არ არის სახელმწიფო, რომლის მიმართაც გვქონდეს ტერიტორიული ან რაიმე სხვა პრეტენზიები, რომლებიც ხაომარი შეტაკების საფრთხეს ქმნიდნენ. ამას გარდა, საბჭოთა ადამიანებმა, — მათ შორის საბჭოთა ხელმძღვანელებმაც, — საკუთარი გამოცდილებით ძალიან კარგად იციან და ახსოვთ, როგორია ჩვენს დროში ომი. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის უფროსი თაობის მცხოვრებლებსაც აქვთ წარმოდგენა, როგორია ომი და, შეიძლება, მათ უკეთაც ესმით, ვიდრე, ვთქვათ, შეერთებული შტატების მცხოვრებლებს, საბჭოთა ხალხის მხურვალე მისწრაფება შშვიდობისაკენ.

ყბადაღებული „საბჭოთა სამხედრო საფრთხის“ შესახებ დასავლეთის განცხადებებში მთავარი „არგუმენტია“ ის, რომ საბჭოთა კავშირს მიაწერენ რაღაც ავისმომასწავებელ ზრახვებს მისი სამხედრო შესაძლებლობების გამო. ასეთი დამახინჯების მაგალითია მსჯელობა იმის შესახებ, თუ რამდენი საათი დასჭირდება საბჭოთა არმიას ლა-მანშთან გასვლისათვის.

მაგრამ საბჭოთა კავშირს არა აქვს არავითარი განზრახვა თავს დაესხას რომელიმე სახელმწიფოს არც დასავლეთში, არც აღმოსავლეთში, არც ჩრდილოეთში, არც სამხრეთში. საბჭოთა კავშირი სრულიადაც არ აპირებს დასავლეთ ევროპის „დაპყრობას“. და ჩვენი გენერალური შტაბი არ მუშაობს „ლა-მანშთან გასვლის“ გრაფიკის შედგენაზე. საბჭოთა სამხედრო მშენებლობის ფარგლები განისაზღვრება საჭირო თავდაცვის ზღვარით. ხოლო სსრ კავშირის თავდაცვის მოთხოვნილებების შეფასებისას, უნდა გვახსოვდეს ჩვენი ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობაც. საბჭოთა კავშირის ნამდვილი ზრახვები მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული ოფიციალურ პარტიულ და სახელმწიფო დოკუმენტებში. მათ შესახებ შეიძლება მსჯელობა აგრეთვე მთელი იმ მორალურ-პოლიტიკური ატმოსფეროს მახედვით, რომელშიც ცხოვრობს და იზრდება საბჭოთა ხალხი. ამ ატმოსფეროსათვის უცხოა მილიტარიზაციის პროპაგანდა, ომისათვის მზადების მოწოდებები, სხვა ხალხების მიმართ უნდობლობისა და მტრობის გაღვივება.

საბჭოთა სახელმწიფოს ისტორია მისი შშვიდობისმოყვარეობის ბევრ მაგალითს იძლევა. იგი მკვეთრად ყველურად მოწმობს სამხედრო საფრთხის ნამდვილ მიზეზებსა და წყაროებს. იგი მეტყველებს იმაზეც, თუ რატომ ვუთმობთ ხერიოზულ ყურადღებას ქვეყნის თავდაცვის საკითხებს. როცა ოქტომბრის რევოლუციის შემდგომ პირველ დღეებში ჩვენმა სახელმწიფომ მოუწოდა ყველა მეომარ სახელმწიფოს დაედოთ ზავი, დასავლეთის ქვეყნებმა კოლექტიური, მტრული ინტერვენციით უპასუხეს. როცა მაღალი ხარისხიანი ტრიბუნადან 30-იან წლებში სსრ კავშირმა მოითხოვა ევროპის კოლექტიური უშიშროება, ამის პასუხი იყო მიუნხენის შეთანხმება და შემდეგ ჰიტლერული აგრესია, როცა აგრესორის შემუსვრის შემდეგ საბჭოთა კავშირი ომით დანგრეული სახალხო მეურნეობის აღდგენას შეუდგა, დასავლეთმა ჩვენს წინააღმდეგ „ცივი ომი“ დაიწყო და შანტაჟს გვიწყობდა ატომური იარაღით, ეტყობა, იმ იმედით, რომ ომით დასუსტებული სსრ კავშირი დიდმორჩილებოდა გარედან დიქტატს. და ახლა, როცა საბჭოთა კავშირი აყენებს კონკრეტულ რეალისტურ და ზორს გამიზნულ წინადადებებს გამალებული შეიარაღების ალაგმვის, განიარაღების თაობაზე, პასუხად ნეიტრონული იარაღით გვემუქრებიან.

სხვათა შორის, ყველა, ვინც იცნობს ომისშემდგომი წლების ისტორიას, ადვილად გიახსენებს, რომ გამალებული შეიარაღება ვითარდებოდა „ქმედება-უკუქმედების“ პრინციპით. დასავლეთი სახრძოლველად გვიწვევდა, საბჭოთა კავშირს უნდა მიეღო ეს გამოწვევა. ასე იყო პირველი ატომური ბომბიდან დღემდე. გამალებული შეიარაღების ყოველ ახალ განვითარებას უცვლელად ხდევდა ახალი მოთქმა „საბჭოთა საფრთხის შესახებ“.

თქვენი გაზეთის პატივცემულ მკითხველებს ვთხოვ გიახსენონ კიდევ ერთი რამ. ჩვენ კი არა, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა შექმნა ათობით სამხედრო ბაზა, სადაც განლაგებულია ბირთვული და სხვა შორის მოქმედების იარაღით აღჭურვილი ბომბდამშენები და წყალქვეშა ნავები. ეს ბაზები ავისმომასწავებლად გადაგიმზადა სსრ კავშირისა და ჩვენი მოკავშირეების საზღვრების გასწვრივ სამხრეთით და ჩრდილოეთით, დასავლეთით და აღმოსავლეთით. მინდა შევთავაზო იმათ, ვინც დღეს ხელოვნურ შიშსა და ისტერიას ნერგავს სსრ კავშირის ბუნებრივ თავდაცვითს ღონისძიებებთან დაკავშირებით, აგრეთვე იმათ, ვისაც სჯერა ამ პანიკის გამავრცელებლებისა, რომ ცოტა ხნით წარმოიდგინონ თავი საბჭოთა ადამიანების ადგილას. ჩვენი ქვეყანა ხომ რამდენიმე ათეული წელია გარშემორტყმულია ამ ბაზებით. საინტერესოა, რას იტყოდნენ ეს სუსტი ნერვების მქონე ბატონები ასეთ ვითარებაში?.

მაგრამ საბჭოთა ადამიანებს მაგარი ნერვები აქვთ, ისინი არ აპყოლიან და არც არასოდეს აპყვებიან პანიკას, არამედ მხოლოდ საჭირო ღონისძიებებს ახორციელებენ წარმოშობილი საფრთხისაგან ქვეყნის თავდაცვისათვის და თანამიმდევრულ ბრძოლას ეწევიან მტკიცე შშვი

ჩვენი იდეური იარაღი, ოპტიმიზმის წყარო

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოგონებების „მცირე მიწის“ და „აღორძინების“ გამო

სიტყვას ვაძლევთ ჩვენს სტუმრებს

ნიკოლაი სოლოვეიკინი,

გადამდგარი გენერალ-ლეიტენანტი, მცირე მიწის ბრძოლების მონაწილე.

დიდი პატივი მხვდა წილად, რომ მცირე მიწის სახელოვან მებრძოლთა გვერდით ვმხარეობდი ლ. ი. ბრეჟნევმა ჩემი კეკრიც ახსენა. მაშინ ეს ლეგენდარული მე-18 არმიის შტაბის ოპერატიული განყოფილების უფროსის მოადგილე ვიყავი.

ეს იყო დიდი გაჭირვების წლები, მაგრამ იგი ჩვენი ძალების გამოცდის წლებიც იყო და საბჭოთა ადამიანებმა ეს გამოცდა ფრაიდზე ჩაბარეს. ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი „მცირემიწელთა“ გმირობას დიდი სიმამაცით და სიყვარულით აღწერს.

დღეს, როცა ჩვენი არმიის მხედართმთავრის კ. ლესელიძის სამშობლოში ვართ, ვგრძნობ ერთგულ კიდევ გავიხსენოთ ამ ლეგენდარული ბრძოლის სახე, რომელიც ასე ჩინებულად დახატა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა.

მადლობელი ვარ, რომ ამ შესანიშნავ ლონისძიებაში მონაწილეობის საშუალება მომეცი ძალიან მინდოდა ქართველ „მცირემიწელებთან“ შეხვედრა და ეს სურვილი ამიხდა კიდეც.

ივანე ვოდენიკოვი,

პარტიის უკრაინის ზაპოროჟიეს საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი.

მეტად სასარგებლო და ხაჭირო ღონისძიებაზე მოგვიწვიეს ქართველმა ამხანაგებმა. „მცირე მიწისა“ და „აღორძინების“ ირგვლივ ფართო საუბარი უთუოდ დიდ სარგებლობას მოუტანს ყველა მუშაკს. ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის საბრძოლო თავდადების, ყოველდღიური მუშაობის გამოცდილების გაცნობა და შესწავლა აუცილებელია ჩვენთვის, თითოეული პარტიული მუშაკისათვის.

ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა გვიჩვენა ადამიანებთან სწორი მუშაობის, მათზე დიდი ზრუნვის მაგალითი, მოგვცა სამაგიდო წიგნები, რომლებითაც უნდა ვისწავლოთ ბრძოლა, შრომა, ადამიანებთან ურთიერთობა...

თბილისში ჩამოსვლა ჩემთვის მეტად სასარგებლო იქნება. გავეცნობი საქართველოს პარტიული ორგანიზაციის თქ დიდ გამოცდილებას, რომელიც უკანასკნელ წლებში ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში დაგროვდა.

როგორი უნდა იყოს კომუნისტი ხელმძღვანელი? ეს ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა ნათლად და დამაჯერებლად ჩამოაყალიბა ამას წინათ კამოჭკუნებულ მოგონებებში „მცირე ჰიწაში“ რომელიც გერმანელი ფაშისტების წინააღმდეგ საბჭოთა მეომრების უთანასწორო, თავგანწირული ბრძოლის ამაღლებელ ეპიზოდებს ასახავს.

და აი, ახლახან „ადევ ერთი დიდი სახელმძღვანელო დოკუმენტი მიიღეს მთელმა ჩვენმა საზოგადოებრიობამ. განსაკუთრებით კი პარტიულმა მუშაკებმა — პრესაში გამოქვეყნდა ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მომდევნო მოგონება „აღორძინება“. იგი ჩვენი ქვეყნის აღდგენის პერიოდს ეხება და ფასდაუდებელ ნიმუშს გვაძლევს პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის შემდგომი სრულყოფისათვის, პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ხელმძღვანელობისა და მშრომელთა შორის ნდობისა და მჭიდრო საქმიანი ურთიერთობის გაძლიერებისათვის.

ძნელია ეთეულევებლად წაიკითხო ამ მოგონებათა სტრიქონები. კითხულობ და გეფუფლება რაღაც ენით გამოუთქმელი გრძნობა — თითქოს უშეალოდ განიცდი ყოველივეს: მაღალ პარტიულ და სახალხო პასუხისმგებლობას, ხიმძიმეს, ტკივილსაც და გამარჯვების სახარულსაც. ყოველ ამბავსა და წინადადებაში დიდი და შთამბეჭდავი აზრია გამოხატული.

„სიცოცხლეში პირველად ვიგრძენი ასე ცხადად და ხილულად პარტიისა და ხალხის წინაშე ოლქში საქმის მდგომარეობისათვის პასუხისმგებლობა“... — ამბობს ლ. ი. ბრეჟნევი პარტიის ზაპოროჟიეს საოლქო კომიტეტის მდივნად არჩევის გამო. და სწორედ „პარტიის და ხალხის წინაშე“ მაღალმა პასუხისმგებლობამ ჩამოაყალიბა იგი, როგორც იმ ოლქის სიკეთეს პარტიულ ხელმძღვანელი, ხოლო შემდგომ მთელი ჩვენი პარტიის, სახელმწიფოსა. და მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე. „აღორძინებაში“ ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი გვასწავლის, თუ როგორი უნდა იყოს პარტიული ხელმძღვანელი, რაოდენ აუცილებელია მისთვის „ვითარების პოლიტიკური ანალიზი“, რათა კარგად გაერკვეს,

„თუ რა მხრივ მიუდგეს სამეურნეო საქმეს“.

პარტიულ მუშაობაში მეორეხარისხოვანი არაფერი არ არის, პარტიული ხელმძღვანელი, მითუმეტეს, თუ იგი პირველი მდივნის პოსტზეა, პასუხს აგებს ყველაფრისათვის, ამდენად მისი საქმე ამოუწურავია, მოძრავია, მაგრამ არასოდეს მოსაბეზრებელი.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის შემოქმედებითი მოღვაწეობის მაგალითებით ვსწავლობთ, ღრმად ვრწმუნდებით, რომ არასოდეს არ უნდა შეგვაკრთოს, სასოწარკვეთილებაში არ უნდა ჩაგვაგდოს დროებითმა წარუმატებლობამ. უნარიანი პარტიული მუშაკი დროულად გაერკვევა საქმის რეალურ არსში და სასწრაფოდ მიიღებს გადამჭრელ ზომებს მდგომარეობის გამოსწორებისათვის. მისივე სიტყვით რომ ვთქვათ, „თქვენ კომუნისტები ხართ და კომუნისტი კი გულადი უნდა იყოს“.

თითოეული პარტიული მუშაკისათვის განსაკუთრებით სამაგალითოა ადამიანებთან მუშაობისა და ურთიერთობის ბრეჟნევისეული სტილი და მეთოდები: „პარტიულმა ხელმძღვანელმა, — გვასწავლის იგი, — თანამშრომლები ისე უნდა მიიღოს, როგორებიც ისინი არიან. მათი სუსტი მხარეების ცოდნა აუცილებელია, მაგრამ უნდა შეგეძლოს დაინახო და საქმის სასარგებლოდ წარმართო მათი ძლიერი მხარეები“.

ამხანაგი ბრეჟნევი გვასწავლის, რომ შეცდომა არავის და არასდროს არ უნდა ეპატიოს, მკაცრად უნდა გაგაკრიტიკოთ, მაგრამ, მაინც „ერთად უნდა ვიყოთ“.

დიახ, ეს ჭეშმარიტი ხელოვნებაა — პარტიული მუშაობის ხელოვნება, რომელიც ესოდენ ნათლად არის განმარტებული როგორც ამ მოგონებებში, ისე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის არაერთგზის გამოსვლებში, მოხსენებებსა და საუბრებში.

სასიხარულოა, რომ უკანასკნელ წლებში ჩვენს რესპუბლიკაში სულ უფრო მტკიცედ მკვიდრდება მუშაობის ლენინური, ნამდვილად პარტიული და ნამდვილად შემოქმედებითი სტილი. ამ მხრივ ზოგი რამ გაკეთდა ჩოხატაურის რაიონშიც, რასაც სეროზულ დადებითი ძვრებიც მოჰყვა ამ მხიანი რაიონის ეკონომიკაში, ადამიანთა ზნეობრივი აღზრდის დარგში.

როგორც ეს „აღორძინებაში“ ნათლად არის მოცემული, ჩვენი, თითოეული პარტიული მუშაკის ვალია განსაკუთრებული მზრუნველობა გაუწიოთ თვით შრომის ადამიანებს, სულ უფრო გაგაღრმავოთ და უშუალო გავხადოთ მათთან ურთიერთობა. მათი შრომისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება მთავარზე თავაური საკითხია. სწორედ ამიტომ არის, რომ, როცა ეკონომიკას ვავითარებთ, ამასთან ამ ბოლო წლებში რაიონში ავაშენეთ და საექსპლოატაციოდ გადავეცით სამრეწველო საწარმოთა ახალი კომპლექსები, კულტურულ-საგანმანათლებლო და სამკურნალო დაწესებულებები, სპორტული ნაგებობანი.

ეჭვი არ არის, რომ ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოგონებანი „მცირე მიწა“ და „აღორძინება“ რომლებშიც მკაფიოდ და ნათლად არის მოცემული პარტიულ-პოლიტიკური და პარტიულ-ორგანიზატორული მუშაობის გამოცდილება, თითოეული კომუნისტის, თითოეული პარტიული მუშაკის სამაგიდო წიგნებად გადაიქცევა.

თ. იმედაძე,

საქართველოს კომპარტიის ჩოხატაურის რაიკომის პირველი მდივანი.

ჩვენი სამაგიდო წიგნი

დიდი ცხოვრების ფოტომატიანე

სურათებზე: დნეპროძერჟინსკი. ბრეჟნევების ოჯახი, ზედა რიგში მარჯვნივ ლ. ი. ბრეჟნევი; ლ. ი. ბრეჟნევი მცირემიწელთა შორის; ზაპოროჟიე, 1947 წელი. ლ. ი. ბრეჟნევი (ცენტრში) ქარხანა „ზაპოროჟსტალის“ აღდგენითი სამუშაოების დროს; დნეპროძერჟინსკი, 1962 წელი, ლ. ი. ბრეჟნევი ძერჟინსკის სახელობის დნეპროვსკის მეტალურგიული ქარხნის ლითონსაგლინავი საამქროს დათვალიერების დროს.

დიდი ქალაქი

ლ. ი. ბრეჟნევის ორ წიგნში „მცირე მიწასა“ და „აღორძინებაში“ პოლიტიკურ-ხელმძღვანელად არის გაანალიზებული საბჭოთა ხალხის ისტორიის ორი გადამწყვეტი ეტაპი, რომლებშიც საპატიო როლი განეკუთვნებათ ქალებს.

ისტორიაში არცთუ იშვითად ყოფილა შემთხვევები, როცა ქალები სამშობლოსათვის იბრძოდნენ, თავი გაუწირავთ უცხოელთა ულლისაგან შობლიური მიწა-წყლის განთავისუფლებისათვის, თავდადებით უმრომიათ მამულის საკეთილდღეოდ. ქალთა ამ სამბრძოლო გმირობისათვის ხოტბა შეუსხამთ ხალხს და სახელმოხვეჭილ მწერლებს. მაგრამ ეს მაინც ცალეული შემთხვევები იყო.

კაცობრიობის მშვენიერი ნახევრის ისტორიასა და ცხოვრებაში სრულიად ახალი ფურცელი გადაშალა საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომისა და ომით გაპარტახებული სამშობლოს აღდგენის ეპოპეამ. ხამშობლოსათვის ამ დიდ ბრძოლაში მონაწილეობდა 500.000 ქალი, რომელთა 70 პროცენტი მოქმედ არმიაში იყო. მათ შორის 200.000 კომკავშვილი გახლდათ. სამამულო ომის პერიოდში 86 ქალმა მიიღო საბჭოთა კავშირის გმირის სპატიო წოდება. ომში გაწეულ ქალთა შორის 16.000 საქართველოს სს რესპუბლიკიდან იყო. ეს შიშველი და მშრალი ციფრები არ გეგონოთ, ეს სამშობლოსათვის ქალთა ბრძოლის ისტორიაა.

„მცირე მიწაზე სადესანტო ოპერაცია მოეწყო და, სავსებით გასაგები, მიზეზების გამო, ქალები იქ შედარებით ნაკლებად იყვნენ. მაგრამ 1943 წლის სექტემბერში ჩვენი სახმელეთო ჯარებისა და საზღვაო ქვეითი ჯარის დესანტის დასახმარებლად, რომლებიც ნოვოროსიისკის მახლობლად „მცირე მიწაზე“ იბრძოდნენ, გაგზავნეს ქალთა საავიაციო გვარდიული პოლკის რვა ეკიპაჟი, რომლებიც ღამის გადფრენებს აწყობდნენ. ყოველგვარ ამინდში, ყოველგვარ პირობებში ქალები ღამეში 8-10 გაფრენას ასწრებდნენ. „მცირე მიწაზე“ ქალები იყვნენ მედპერსონალსა და პოლიტმუშაკებს შორისაც. ასეთ სულით ძლიერ ქალებთან შეხვედრები, რომლებსაც „ციცერ და ძმაძე ვითარებაში თავიანთი ძმახობლობა, გულთბილობა, ქალური მზრუნველობა შეჭონდათ, საფუძვლად დაედო იმ შესანიშნავი საბჭოთა მეომარი ქალების სახეებს, რომლებსაც ლ. ი. ბრეჟნევი ალადგენს თავის მოგონებებში.

ეს გახლავთ ახალგაზრდა კომკავშირელი, პოლიტმუშაკი, ადგილი წასვლას ამირებს, ლეიტენანტის ხმა მოესმება: „გამოდის, რომ არ დამეხმარებით, ამხანაგო პოლკოვნიკო?.. თქვენ ხომ ჩემი გვარიც კი არ ჩაგიწერიათ“, ამ დროს ჩაერევა სწორედ მედდა, ეს თანაგრძნობა და ნამდვილი და ყველასთვის, ვინც ომი და ჰოსპიტალი გამოიარა. იგი მშვიდად ეუბნება: „აი მე ციფრი გვარსაც, წოდებასაც, ნაწილის ნომერსაც. ხედავთ?“ შემდეგ ბრეჟნევს გადასცა ფურცელი, რომელშიც ეწერა: „ოფიცერი, ოთხ ბავშვიანი ოჯახის მამა, ბრძოლაში ორჯერ ჭრილობა მიღებული, ბრძოლის ველზე ბრძოლა ეკრძალებოდა, ამ ბრძოლაში ბრძოლა ეკრძალებოდა, ამ ბრძოლაში ბრძოლა ეკრძალებოდა, ამ ბრძოლაში

კ. მარქსის დაბადების 160-ე წლისთავის გამო

კარლ მარქსი და თანამედროვეობა



კარლ მარქსი

ხვალ სრულდება მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებელის, უდიდესი თეორეტიკოსის, პროლეტარიატის მასწავლებლისა და ბელადის კარლ მარქსის დაბადების 160-ე წლისთავი.

მარქსის მეცნიერული კომუნიზმის წარმოშობა საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიის განვითარების კანონზომიერი შედეგია და რევოლუციური გადატრიალებისა ანაცოცხლობის მეცნიერულ აზროვნებაში. ამან თეორიულად გამოხატა საზოგადოების განვითარების მოთხოვნილებანი და მეცნიერული პასუხი გასცა მოწინავე კაცობრიობის მიერ დასმულ პრობლემებს.

მარქსმა შეაერთა ფილოსოფიურ, ეკონომიკურ და სოციალურ-პოლიტიკურ შეხედულებათა მთლიანი და მწყობრი სისტემა. მან შექმნა მეცნიერება ბუნებისა და საზოგადოების კანონების შესახებ, მეცნიერება ყველა კვეყანაში ჩაგრული და ექსპლოატირებული მასების რევოლუციური განთავისუფლების, სოციალიზმის გამარჯვებისა და კომუნიზმის მშენებლობის კანონზომიერებათა შესახებ. მარქსიზმი სამყაროს გარდაქმნის მოძღვრება და პროლეტართა მასის, მეცნიერ მოწინავე კაცობრიობის ბრძოლის დროშაა.

ვ. ი. ლენინმა ახალ, ისტორიულ ეპოქაში შემოქმედებითად გამოიყენა და განავითარა მარქსისტული მეცნიერება და სათავეში ჩაუდგა საზოგადოების რევოლუციურ-კომუნისტური გარდაქმნისათვის ბრძოლას. მარქსიზმ-ლენინიზმმა შემდგომი განვითარება ალ-ბ. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის თეორიულ აზროვნებასა და პრაქტიკულ საქმიანობაში.

მარქსი პირველი იყო, რომელმაც საზოგადოების შესახებ ნამდვილი მეცნიერება შეიმუშავა და სამყაროს, კაცთა ცხოვრების სწორი შეფასებისა და რევოლუციური გარდაქმნის შესაძლებლობა შექმნა. ისტორია ადასტურებს და სინამდვილე აქცევს საზოგადოების მოძიებულ მარქსის პროგნოზირებს შეშმარიტებას. ეს, მეცნიერული კომუნიზმის სისწორეს, მის ძალასა და ცხოველმყოფელობას, თანამედროვე ეპოქა მარქსისა და ლენინის წინასწარხედვის განხორციელების ეპოქაა.

ისტორიის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ კრიტიკის იარაღი წინ უსწრებს და ამზადებს იარაღით კრიტიკას, ენინებრივი რევოლუცია — პოლიტიკურ რევოლუციას. მუშათა კლასი თავის ბატონობას ჯერ განებივი გამარჯვებით აუწყებს კაცობრიობას, შემდეგ კი მას რევოლუციური პრაქტიკით ამკვიდრებს.

ოქტომბრის რევოლუცია მოამზადა არა მარტო სოციალურ-კონომიკურმა განვითარებამ და კლასობრივ წინააღმდეგობათა სიმწვავემ, არამედ აგრეთვე, მოწინავე საზოგადოებრივი აზრის განვითარებამ, რომელმაც თავისი სრულყოფილი გამოხატულება, დაგვირგვინება მარქსისტულ-ლენინურ მეცნიერებაში პოვა.

ოქტომბრის რევოლუცია — რევოლუციაა იდეოლოგიაში, აზროვნებაში. მან მეცნიერული კომუნიზმი თეორიის სფეროდან პრაქტიკის სფეროში გადაიტანა და სინამდვილად აქცია. რევოლუციურმა თეორიამ რევოლუციური პრაქტიკა ასაზრდოვა. რევოლუციურმა პრაქტიკამ რევოლუციურ თეორიას ხორცი შეასხა, მატერიალურ ძალად გაბადა.

ოქტომბრის რევოლუცია წარმოადგენს მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის გამარჯვებას ბურჟუაზიულ და რეფორმისტულ იდეოლოგიაზე. ოქტომბერმა გვიჩვენა, რომ რეფორმიზმთან კავშირის გაწყვეტა, მისი მხილება, მისი იზოლირება გამარჯვების პირობაა სოციალისტურ რევოლუციაში.

ოქტომბრის იდეური მოწინაღმდეგეები ოქტომბრის რევოლუციას აოკანონზომიერ, შემთხვევითო. მოკლენად თვლიან და მარქსის „რევოლუციის კლასიკური მოდელის“ უარყოფად აცხადებენ. ცნობილი ინგლისელი ისტორიკოსის ტოინბის მტკიცებით, ოქტომბრის გამარჯვება, „მარქსიზმის ეს პირველი პრაქტიკული წარმატება, მარქსისტული თეორიის უარყოფას წარმოადგენს“.

ლენინმა ამბილა მსგავსი ბურჟუაზიული და რეფორმისტული შეხედულებები. და ნათლად გვიჩვენა, რომ ოქტომბრის რევოლუცია იმპერიალიზმის ეპოქის საზოგადოებრივი განვითარებისა და კლასობრივი ბრძოლის კანონზომიერი შედეგია და რომ იგი ნიშნეა, რომელიც „ყველა ქვეყანას უჩვენებს ზოგიერთ, და ფრიად მნიშვნელოვან რაღაც მათი გარდუვალი და არცთუ შორეული მომავლიდან“.

საზოგადოების წინაღმდეგობრივი, ნახტომისებური განვითარების ღრმა ანალიზის საფუძველზე ლენინმა აღმოაჩინა კაპიტალიზმის არათანაბარზომიერი განვითარების პირობებში ცივილიზაციის ძირითადი წანამძღვრების შექმნის სხვადასხვა გადასვლის შესაძლებლობა, ვიდრე დასავლეთ ევროპის ქვეყნებში. ლენინმა მიუთითა, რომ ოქტომბრის რევოლუციის შედეგად, მუშურ-გლეხური ხელისუფლების პირობებში შემქმნა პოლიტიკური წინამძღვრები, რომ შემდეგ უკვე „საბჭოთა წყობილების საფუძველზე, გავწითოთ“ წინ, სხვა ხალხების დასაწვეგად“.

ისტორიამ დაადასტურა ლენინის ეს წინასწარხედვა. ოქტომბრის რევოლუციამ მოახდინა ისტორიული შემობრუნება ჩვენი ხალხის ცხოვრებაში, გამოიყენა იგი სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული პროგრესის გზაზე. საბჭოთა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით შექმნა სოციალისტური საზოგადოება და რეგოლუციური პრაქტიკით დაამტკიცა სისწორე მარქსისტულ-ლენინური მოძღვრებისა სოციალიზმის შესახებ.

კომუნიზმის გზაზე აღიმართა სამი ისტორიული ნიშანსვეტი: აშენდა განვითარებული სოციალისტური საზოგადოება, რომელიც თანდათანობით გარდაიქმნება კომუნისტურ საზოგადოებად, შეიქმნა სეერთოსახალხო სახელმწიფო, რომელიც გამოხატავს მთელი ხალხის ინტერესებსა და ნებას, ჩამოყალიბდა ახალი ისტორიული ერთობა — საბჭოთა ხალხი, რომელსაც საფუძვლად უდევს მუშათა კლასის, გლეხობისა და ინტელიგენციის კავშირი და ყველა ერისა და ეროვნების მეგობრობა.

მარქსმა და ენგელსმა კომუნისტური საზოგადოების თეორია შეიმუშავეს. მათ მოგვცეს სოციალიზმისა და კომუნიზმის სეერთო, პრინციპული დახასიათება და განსაზღვრეს კომუნისტური ფორმაციის განვითარების ძირითადი ტენდენციები. ლენინმა განავითარა კომუნისტური საზოგადოების მარქსისტული მოძღვრება და რევოლუციურ პრაქტიკად აქცია იგი. ლენინმა განვრიტა სოციალიზმის ფაზაში განვითარებული სოციალიზმის ეტაპი. პარტიამ მასზე დაყრდნობით შეიმუშავა განვითარებული სოციალისტური საზოგადოების კონცეფცია. მან განსაზღვრა განვითარებული სოციალიზმის ადგილი კომუნისტური ფორმაციის ჩამოყალიბების ისტორიულ პროცესში და გვიჩვენა მისი ნიშნები და თავისებურებები.

განვითარებულ სოციალიზმს ახასიათებს საწარმოო ძალთა სოციალისტური განვითარების მაღალი დონე, სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობის სიმწიფე და მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველმხრივი და პროპორციული განვითარება. საზოგადოებრივი წარმოების უზენაესი მიზანი, მატერიალურ და სულიერ მოთხოვნილებათა სრულად დაკმაყოფილება „დგება პარტიის პრაქტიკული პოლიტიკის ცენტრში“.

პარტიამ შემდგომ განავითარა და დაკონკრეტა მუშათა კლასის ისტორიული როლის მარქსისტულ-ლენინური გაგება. საერთო-სახალხო სახელმწიფო განაგრძობს პროლეტარიატის დიქტატურის შემოქმედებით საქმიანობას და მუშათა კლასის ისტორიული მისიის ახალ ეტაპს ქმნის.

საბჭოთა ხალხი, როგორც ახალი ისტორიული ერთობა, სოციალურ-კლასობრივ და ეროვნებათაშორისო ინტერნაციონალურ სოციალისტურ ერთობას ასახიერებს და მომავალი კაცობრიობის პირველსახეს ქმნის.

ადამიანები თვით ქმნიან თავიანთ ისტორიას. „ისინი არიან საკუთარი ისტორიის ავტორებიც და მსახიობებიც“ (მარქსი). რევოლუციურ იდეშენებლობით საქმიანობაში ჩამოყალიბებული და ვამოწრთობილი საბჭოთა ადამიანი აშენებს კაცობრობის მომავალს. კომუნისტურ იდეალს სინამდვილედ აქცევს.

რევოლუციურმა პრაქტიკამ საკვლევით დადასტურა მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება კომუნისტური პარტიის გადამწყვეტი როლის შესახებ, კომუნისტური ფორმაციის ყალიბდება-მშრომელი მასების შეგნებული და მიზანმიმართული საქმიანობის შედეგად. უდიდესია პარტიის, მისი ხელმძღვანელობის, თანამედროვეობის გამორჩენილი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწის, ერთგული მარქსისტ-ლენინელის ლ. ი. ბრეჟნევის შემოქმედებითი მუშაობის მნიშვნელობა. პარტია მეცნიერულად ეკვრეტს მომავალს, სახავს მისი განხორციელების გზას და რაზმავს მშრომელ მასებს კომუნიზმის მშენებლობის ამოცანათა განხორციელებისათვის.

დადებითი ძვრები და პოზიტური ცვლილებები საქართველოში უზარუნველყო პარტიული ხელმძღვანელობის სტილისა და მეთოდების არსებითად გაუმჯობესებამ. საქართველოს კომპარტია დაეყრდნო ადამიანის შესახებ მარქსისტულ-ლენინური მეცნიერებას და ადამიანსათვის ზრუნვა თავისი პრაქტიკული საქმიანობის ყურადღების ცენტრი დაიყენა, გაიაზა ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლა და გაამდიდრა წარსულის გადმონაშთების დაძლევისა და კომუნისტური შეგნების დანერგვის კანონზომიერების მარქსისტულ-ლენინური გაგება, საბჭოთა საქართველოს მაგალითზე დაკონკრეტა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის და სოციალისტური ერების ყაყვებისა და დაახლოების თეორია და პრაქტიკა. სოციალისტური საქართველოს ისტორიული მონაპოვარი ახალ კონსტიტუციაში ასახა და მასში პოვა საკანონმდებლო დამკვიდრება. ახალი კონსტიტუცია განვითარებული სოციალიზმის საქართველოს კონსტიტუციაა, იგი მარქსისტულ-ლენინური თეორიის შემოქმედებითი გამოყენებისა და განვითარების ნიმუშია.

ოქტომბრის რევოლუციის, ნოციალიზმის მშენებლობის გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ მხოლოდ მარქსისტულ-ლენინური მეცნიერება ძალუნა შესაძლებლობას გაგიგოთ თანამედროვე ეპოქა, მისი შინაარსი და განვითარების მიმართულება, მსოფლიო რევოლუციური პროცესის ბუნი და კანონზომიერება.

საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის კოლეექტიურმა აზროვნებამ თანამედროვე ეპოქის შინაარსი განსაზღვრა, როგორც კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლა, რაც ოქტომბრის რევოლუციამ დაიწყო და ცხადყო, რომ თანამედროვე ეპოქის ცენტრში დგანან საერთაშორისო მუშათა კლასი და მისი მთავარი ძალა—ეროვნული-ეროვნული ბრძოლა.

ენგელსმა 1894 წელს იტალიელი სოციალისტის თხოვნაზე ძოკლედ განსაზღვრა მომავალი ეპოქის იდეა, მიუთითა „კომუნისტური მანიფესტის“ ცნობილ დებულებაზე „ძველი ბურჟუაზიული საზოგადოების ადგილს მისი კლასებისა და კლასობრივი დაპირისპირებით იკავებს ასოციაცია, სადაც თითოეულის თავისუფალი განვითარება ყველას თავისუფალი განვითარების პირობაა“.

ის, რაც მარქსმა და ენგელსმა მეცნიერულად იწინასწარმეტყველეს, ჩვენს ქვეყანაში რეალურ სინამდვილედ იქცა. „კომუნისტური მანიფესტის“ ეს ანბანი სიტყვები ფაქტიურად ჩვენი ცხოვრების ძირეული პრინციპი გახდა. იგი ასახავს ცხოვრების სოციალისტურ წესს, რომლის მთავარი დირებულება მშრომელი ადამიანია. რეალური სოციალიზმი, რეალური ჰუმანიზმია. ახლოდან სოციალისტური დემოკრატია უზრუნველყოფს მოქალაქეთა სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ უფლებებსა და თავისუფლებებს და ადამიანის ყველა ძალისა და უნარის განვითარებისა და გამოყენების სრულ შესაძლებლობას.

მეცნიერული კომუნიზმი ამხილებს ბურჟუაზიულ ინდივიდუალიზმს, რომელიც ახლა „პიროვნების თავისუფლების“ დაცვის ხერხით გამოდის და ცხოვრებისადმი მოძმბარეობერ დამოკიდებულებას ქადაგებს. მარქსმა და ენგელსმა რეაქციულ ბურჟუაზიულ ინდივიდუალიზმს პროლეტარული კოლექტივიზმი დაუპირისპირეს და ნათელყვეს, რომ „მხოლოდ კოლექტივშია შესაძლებელი პირადი თავისუფლება“.

ჩვენმა სინამდვილემ პრაქტიკულად დაამტკიცა, რომ საბჭოთა ეროვნული ცხოვრების სოციალისტური კოლექტივიზმის საწყისებზე გარდაქმნა კანონად იქცევს ყველას ბრუნვას თითოეულს ეთითოეულისა და თითოეულის ბრუნვას ყველას ეთითოეულობისათვის.

ბურჟუაზიის იდეოლოგებმა შეთხზეს „დეიდეოლოგიზაციის“, „კონვერგენციის“, „ინდუსტრიული საზოგადოების“, „შემდგომ-ინდუსტრიული საზოგადოების“ და სხვა უტოპიურ-რეაქციული სოციალურ-პოლიტიკური თეორიები და კონცეპციები, რომლებიც სახელმწიფო-მონოპოლისტურ კაპიტალიზმს იცავენ სოციალიზმის, დემოკრატიისა და პროგრესის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ანტიკომუნიზმისა და ანტისოციალიზმის ერთ-ერთი სახეობაა მაოიზმი. იგი ამკარად ეწინააღმდეგება მარქსიზმ-ლენინიზმს. მაოიზმი რეაქციის მოკავშირეა და იმპერიალიზმის ინტერვენტია სოციალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ჩვენს დროში მოხდა სოციალიზმის ერთგვარი მოდერნიზება. მასში ანასახი ინტერნაციონალურ ეროვნული ეროვნული ურთიერთობა. ეროვნული ეროვნული ეროვნული

ბალადა

დებატების დღე

...მცირე მიწა საბჭოთა მიწად რჩებოდა, ადამიანები კი ადამიანებად რჩებოდნენ... დებატების დღეებსაც კი იხდიდნენ. მაგალითად, 15 თებერვალს, ესე იგი, პირველი გაფასდომის შემდეგ მეთერთმეტე დღეს, ერთ-ერთ მედესანტეს ფალვა თათარაშვილს 23 წელი შეუსრულდა. მისმა განუყრელმა მეგობარმა პატარე ვერეშჩაგინმა თავისი ავტომატის დისკოდან 23 ვაზნა აჩუქა. ეს უძვირფასესი საჩუქარი იყო.

„მცირე მიწა“.

□

სინესტე კატაკომბიდან
ფონავს და ძვალსა ჰყინავს.
კვამლმა და ბაფუკმა კაცმა.
ველი უკან და წინაც.
ბაღღენთილია ობითა
ჯარისკაციული ბინა.

ათი დღე ჩამოიშალა,
რაც ზღვა დატოვეს ძმებმა.
ათი დღე ჩამოიშალა
და მეთერთმეტე დგება.
ამ დღეში, მტერმა პირშავმა
იცის, არ გაგვეძლება.

ერთმანეთისგან გვთიშავენ,
მაგრამ ერთად ვართ ჯერაც.
შავი ღრუბლების სიშავე
გაიფანტება, გვჯერა.
ტყისპირი ქოჩორს
ამშრალებს —
უბეში ცისკარს ფერავს.

მიწა კი — ვიწრო გალია
და ტრანშეებში მალვა...
თხუთმეტი თებერვალია,
როგორც თხუთმეტი ალვა.
თხუთმეტი თებერვალია,
თათარაშვილო შალვა!

მაგრამ დღე ხომ არ
შეგშლია,
ხომ სინამდვილე არი?!
ხელს ვერ წაატან ფრთებშია,
წავიდა, როგორც ქარი...
— ოცდაამეოთხე წელში
ვარ,
ბიჭებო, გადამდგარი!

იცნო მეგობრის ნაჩქვამი
ვერეშჩაგინმა ცეკრემ:
— ამგვარად ტკბილი რად
არი
დღეები, როცა წავლენ.
რომ იყოს, გითხრა მართალი,
დღეს ღვინოს ჩაფით
დავლევ...
ხმა წავა საქართველომდე,
თუმც კი გრძელი გზა
გვთიშავს.
სხვას აქ არაფერს ელოდე,
თუნდაც მეორედ იშვა:
— ოცდასამ ვაზნას
მოგართმევ,
ოცდახამი წლის ნიშნად...

ასე თქვა ვერეშჩაგინმა, —
ტკბილმა ჭაბუკმა კაცმა.
ასე თქვა ვერეშჩაგინმა
ყველა მეგობრის ნაცვლად,
და ზამბახების მაგვრად,
მისცა ვაზნების აცმა...

ხევთან, სანგრებს რომ
გადავლი,
ჯგუფს დაინახავ მარცხნივ.
ვით წინა დილაჟ, ამ დილით
ტყვია ბალახებს ვარცხნის.
ძრს დღეობაა ნამდვილი
ქართველი ჯარისკაცის.

მო, დღეობაა ნამდვილი,
დღეობაა და როგორ.
თვალწინ გამოკრთა
ფარდივით,
ერთი თვალშავა გოგო.
თეთრი გაშალა მანდილი,
გულში ვარდება მორგო.

წამი ცის გახსნის სადარი
და უეცარი თრთოლვის...
თავის დარით და ავდარით,
თავის ბუქით და თოვლით—
ზურნა და დოლი სად არი,
ჩვენი ზურნა და დოლი!

მაჭრის შუშხუნი სად არი,
ფიცხი ჩინჩხლები ღვინის,
სიტყვა ზედ ცერზე
დამდგარი,
არა ნაღები ინთ.
ჭასთან ჭიქა და ჭადარი
და ჩვენებური ლხინი.

ღია მარანი გვანახონ
და მოსახდელი ჭური.
ნაკვერცხლით თოხე
გვანახონ
და ამოყრილი პური.
კრავი რომ ჩრდილში
ბალახობს,
ქვაბში ქაფქაფებს ბური.

ვაზი რომ რძეს ღვრის
ცურიდან
და მზე ძარღვებში ჩადის.
ტკბილად ახდენს
სურვილთა
მოსდევს ქეიფი ნადის,
ღვინითა ატენურითა,
ჭანარითა და მწვადით.

დე, აქაც აალეღუნონ
ჩანგური ცრემლის ღვრითა.
ფანდური აალეღუნონ
და თქვან, ვსულდგმულობთ
რითაც.
დე, ამ დღეობას უუროს
მტერმა, გადაღმა მხრიდან,

ბალახზე შავად მიმშრალა
სისხლი და მიწა ძღება.
ათი დღე ჩამოიშალა,
რაც ზღვა დატოვეს ძმებმა.
ათი დღე ჩამოიშალა
და მეთერთმეტე დგება.

ვასილ გვეტაძე.

ომგვითხრობენ მცირემიწელები

შეხვედრა მამასთან

33 წელზე მეტი გავიდა შას შემდეგ, რაც უკანასკნელი გასროლა გაისმა. მაგრამ დიდი სამამულო ომი არ წაშლილა ხალხის მეხსიერებაში. დღემდე საბჭოთა ოჯახებში მოდის ცნობები, რომლებშიც იგრძნობა ახლობლის დაკარგვის სიმწარე, პოვნის სიხარული, მოულოდნელობათა განუმეორებლობა.

ერთმა ასეთმა ცნობამ შეძრა ამას წინათ თბილისელი სირბილაძეების ოჯახი...

— დედა, გვიამბე რა, მამაზე! — არაერთხელ უთქვამთ ძმებს ომარსა და თამაზს დედის — ეკატერინე სირბილაძისათვის. — ის ხომ ჯარისკაცი იყო...

— რა გითხრათ, შვილებო, — უპასუხებდა დედა და თვალზე მომდგარ კურცხლს მოიწმენდდა თავსაფრის ბოლოთი. — მეც თითქმის არაფერი არ ვიცი მასზე. მამათქვენი აქ, თბილისში სკოლაში შუამავდა. ომი რომ დაიწყო, მოხალისედ წავიდა ფრონტზე. შეეძლო არც წასულიყო, რადგან ჯავშანი ჰქონდა. თავდაპირველად მათი ნაწილი აგერ, სულ ახლოს იდგა. მერე ეშელონი ჩრდილოეთში გაგზავნეს... მისგან მხოლოდ ორი წერილი მივიღე.

— ამ წერილებზე მისი მისამართიც კი არ ყოფილა აღნიშნული, არა? — ნაღელიანად ჩაილაპარაკა უმცროსმა ძმამ ომარმა.

— მისამართი? ფრონტულ სამკუთხა წერილებზე, შვილო, იგი არ ყოფილა. სავალე ფოსტა, ნომერი ესა და ეს. მორჩა და გათავდა, და კიდევ ბეჭქედი: „წერილი წითელარმიელი. უფასო“.

ეკატერინემ შემოინახა ეს წერილები, ვინ მოთვლის, რამდენჯერ გადაუკითხავს, ზეპირად იცის. ჯარისკაცის შვილებიც ხშირად ჩაჰკირკიტებენ ამ გაყვითლებულ ფურცლებს, მაგრამ, აბა, რას უამბობს მათ ეს ძუნწი სტრიქონები: „ჯერჯერობით ცოცხალი ვარ. ფრიცებს ველტ. ბავშვებს მიმახედე“. რა შეეძლო კიდევ მოწერა ჯარისკაცს?!

შვილები შეეგუენ ამ აზრს, რომ ვერაფერს ვერ შეიტყობენ წითელარმიელ მამაზე.

მაგრამ სულ ახლახანს სირბილაძეების ოჯახის ერთმა ნაცნობმა, აგრეთვე ფრონტელმა, გამოთქვა ასეთი აზრი:

— ნეტავ, გადაგვეფურცლა 1941 წლის ფრონტული გაზეთები. რაღაც-რაღაცეები ეწერა ხოლმე იქ ქართველ მეომრებზე. თვითონ წამიკითხავს. იქნებ, გვეპოვა გერონტი სირბილაძის გვარი.

— ეს უკვე ფანტასტიკაა, — ეიმედოდ ჩაიქნია ხელი უფროსმა ძმამ თამაზმა. — ჯერ ერთი, სად ნახავ ამ გაზეთს? პოდოლსკის არქივს ხომ არ მიადგები? საეჭვოა, რომ შემონახოთ ეს გაზეთები. იქ სხვადასხვა დოკუმენტი ინახება. მაგრამ გაზეთი ხომ დოკუმენტი არ არის. მეორეც, შენი გულისთვის ვინ დაიწყებს ქექვას არქივის მტვერში?

— ეს იგივეა, რომ ნემსი ეძებო თივის ზვინში, — დასძინა ომარმა.

ამით დამთავრდა საუბარი და მას აღარავინ აღარ დაბრუნებია.

მაგრამ ომარ სირბილაძე ხანდახან მაინც ფიქრობდა: „რა იქნება, რედაქციაში რომ შევიარო და გაზეთების კომპლექტი ვითხოვო? თუმცა, ალბათ, არც კი შემოუნახავთ, მაგრამ, ცდა ხომ ბედის მონახევრეაო“.

რამდენჯერმე ჩაუარა ომარმა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის გაზეთის „ლენინსკოე ზნამიას“ რედაქციას, მაგრამ შესვლა ვერ გაბედა. ეეხერხულებოდა კიდეც —ვაითუ, ჩემი თხოვნით ხალხი შეეაწუხოო.

და მაინც მივიდა რედაქციაში ომარი.

— შეიძლება, გადავათვალიერო 1941 წლის „ლენინსკოე ზნამია“? — მიმართა მან პირქუშ კაცს, რომელსაც თავი ქაღალდებში ჰქონდა ჩარგული.

— რად გინდათ? — თვალი მოსწყვიტა მან ქაღალდებს. — სხვათა შორის, გაზეთს მაინ ერქვა „ბოეც რკკა“. მაგრამ ამას არა აქვს მნიშვნელობა...

ომარმა ყველაფერი აუხსნა.

— მომითმინეთ, ერთი წუთით... — ჩაილაპარაკა კაცმა და სადღაც გავიდა.

„ოჰ, ეს კაცი არაფრის ძებნას არ დაიწყებს. ჩემი თავი სადა აქვს“, — ნაღვლიანად გაიფიქრა ომარმა და უკვე ინანა, რომ აქ მოვიდა. მაგრამ როგორ გაუკვირდა, როცა ამ, ერთი შეხედვით პირქუშმა, ხანში შესულმა ჟურნალისტმა სულ მოლად დამტვერიანებული გაზეთის კომპლექტი შემოუტანა.

— აი, — უთხრა მან, და კომპლექტი მაგიდაზე დადო. — მოდი, შვილო, ერთად გადავთვალიეროთ.

— დიდხანს ფურცლავდნენ გაყვითლებული გაზეთების ფურცლებს. და აი — 1941 წლის 1 აგვისტოს ნომერი...

— ის არის! — აღელვებით წამოიძახა ომარმა და დაკვირდა სურათს — ის არის, ის.... წაიკითხეთ!

და მართლაც. სურათის წარწერა ლაკონიურად იტყობინებოდა: „წითელარმიელი გ. კრილოვი და ათეულის მეთაური გ. სირბილაძე საველე სატელეფონო ხაზის გაყვანის დროს“.

ომარმა მაშინვე ახარა ახალა ამბავი დედასა და ძმას.

მეორე დღეს სირბილაძეებს ოჯახი რედაქციას ეწვია. ეკატერინე უხმოდ ტიროდა, ცრემლები ლაპალუპით ჩამოსდიოდა ღაწვებზე. დიდხანს ჩასცქეროდნენ დედა შვილები ომის წლების ფოტოილუსტრაციას.

მეორედ დღის შემდეგ სირბილაძეების სახლში საოჯახო რელიკვია გაჩნდა: გაზეთის მუშაკებმა სწრაფად გადაიღეს და დედასა და შვილებს ანუქეს მათთვის ძვირფასი სამხედრო გაზეთის ფოტოლის ფოტოპირი.

დიახ, ძმებს ომარ და თამაზ სირბილაძეებს ნამდვილად შეეძლათ იამაყონ თავიანთი მამით. დადგენილა, რომ გაერონტი თომას ძე სირბილაძე იყო „მცირე მიწის“ გრძოლების მონაწილე, რის შესახებაც ასე გულში ჩამწვდომად მოეთხრობის თავის წიგნში „ლენინი ლაინდ ილიას ძე ბრეჟნევი. მან თავი დადო სამშობლოსათვის ქერჩის მისადგომებთან. და სადღაც, ქერჩის ყურის წყლებში დაიკარგა მისი კვალი. მაგრამ ოჯახში მარად იცოცხლებს ქმრის, მეომარი მამის ნათელი ხსოვნა. იგი იბრძოდა საბჭოთა ხელისუფლებისათვის, იცხებობდა თავისი შვილების ბედნიერ მომავალზე.

ისევე, როგორც ბევრმა მათმა თანამოძმემ, რომელთა მამები ფრონტიდან არ დაბრუნებულან, ომარმა და თამაზმა დაამთავრეს უმაღლესი სასწავლებელი, ინჟინრები გახდნენ. ახლა ეკატერინეს შვილიშვილები ჰყავს და ისინი ახარებენ. დედა და შვილები კომუნისტები არიან. და ყოველი მათგანი თავის სამუშაო ადგილას განგრძობს საქმეს, რომლის საკეთილდღეოდ კომუნისტი გერონტი სირბილაძე საკუთარი ნებით წავიდა ომში სამშობლოს დასაცავად.

პოდპოლკოვნიკი
ა. პავლოვსკი.

• • •

სურათზე: მარცხნიდან: თამაზ, ეკატერინე, ომარ სირბილაძეები ათვალიერებენ გაზეთ „ბოეც რკკა“-ს ნომერს, რომელშიც მეუღლისა და მამის სურათი და მახალაა მოთავსებული.

მ. აბულაძის ფოტო.

მე-18 არმიის ვეტერანებს საყურადღებოდ!

საკპ ცენტრალური კომიტეტის ენერგიული ხელმძღვანელობა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, თავმჯდომარეობ. ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის წიგნის „ადამიანი, ომი, ომი“ გამოსაცემთან დაკავშირებით გამოსაცემად ითხოვს მე-18 არმიის ბრძოლათა მოგონებანი, ალბომი „მე-18 არმიის საბრძოლო გზა“, ალბომი „მცირემიწელები“.

ამასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხალხთა მეგობრობის მუზეუმი მიმართავს მე-18 არმიის ყველა ვეტერანს, ყველა „მცირემიწელს“, მათს ოჯახებს — მუზეუმს მოაწოდონ მოგონებანი, განვლილი ბრძოლების ამსახველი დოკუმენტები: ფოტოსურათები, ფრონტული წერილები, ნივთები.

გამოგზავნილ ფოტოსურათებს, წერილობით დოკუმენტებს მუზეუმი დაუბრუნებს მფლობელს.

მოგონებები უნდა წარმოდგინოთ 1 ივნისამდე მისამართით: თბილისი, ფურცელაძის ქ. № 5, ხალხთა მეგობრობის მუზეუმი.

სამეცნიერო კონფერენცია

რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში ამ დღეებში გაიმართა რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა მხატვრული შემოქმედების კომპლექსური შესწავლის პრობლემებს. კონფერენციაზე მოხსენებანი გააკეთეს აკადემიკოსმა ა. ზურაბაშვილმა — „მხატვრული ლიტერატურა და მორალი“, პროფესორებმა პ. შარიამ „ინტუიცია მეცნიერულ-ლოგიკურ და მხატვრულ აზროვნებაში“, დ. თუხარელმა — „ეპითეტიკა ლექსის პრობლემებთან“, ი. ურუშაძემ — „ხატვრული შემოქმედების კომპლექსური შესწავლისათვის“, ინსტიტუტის ახალგაზრდა მეცნიერმა თანამშრომლებმა ა. ქურხულმა და გ. მათიაშვილმა.

დასასრულ გაიმართა კამათი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს პროფესორებმა მ. დუდუჩავამ, ა. გაფრელიამ, ა. გაჩეჩილაძემ და შ. გაბელაიამ. კონფერენციის შედეგები შეაჯამა ინსტიტუტის დირექტორმა აკადემიკოსმა ა. ბარამიძემ.

გ. დევდარიანი.

ტელევიზია

4 მაისი

პირველი პროგრამით

09.00 — „ვრცმია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 09.35 — კინონარკვევი, 09.45 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ბუნების ხმები“ (ფერადი), 10.05 — ლენინური კომკავშირის პრემიის ლაურეატის, ცენტრალური ტელევიზიისა და საკავშირო რადიოს ბავშვთა დიდი გუნდის კონცერტი (მოსკოვიდან), 10.55 — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), დასასრული — კონცერტი რუს კომპოზიტორთა ნაწარმოებებიდან, 13.55 — საინფორმაციო პროგრამა მოსკოვიდან, 15.00 — „მოგზაურობა გერმანიის ფედერაციაზე რესპუბლიკაში“ — კინოპროგრამა (მოსკოვიდან), 16.00 — „ლექსები — ბავშვებს“ (მოსკოვიდან), 16.50 — უმაღლეს სასწავლებლში შემსვლელთათვის — ფიზიკა, 17.20 — უმცროსკლასელთათვის — რუსული ენა 17.50— „ჩვენი საკოსმოსლტაციო დარბაზი“, 18.25 — ბავშვებისათვის — თოჯინური სპექტაკლი „ცანგალა“, 19.15 — „ქალი ოთხთა ლენინური უნივერსიტეტი“ (მოსკოვიდან), 20.00 — „პოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა (ფერადი), 20.30— „ინტერვიუ“ — ეძღვნება ბეგდვითი სიტყვის დღეს, 22.15— „ეურემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 23.00 — „წიგნი სიყვარულისა“ (ფერადი).

მეორე პროგრამით

18.00 — მოსწავლეთათვის — ქართული ენა, 18.30 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „არქიტექტურა დასასრული არა აქვს“ 19.50 — განცხადებები, 19.55 — მოსწავლეთათვის — ფიზიკა, 20.40 — მხატვრული ფილმი „სინდისის კარნახით“, 21.05 — დოკუმენტური ფილმი „მაია პლისეცკაია“.

ტელევიზია

5 მაისი

პირველი პროგრამით

06.15 — გადაცემათა პროგრამა, 06.20 — ტანვარჯიში, 06.35 — „ჩვენი მთა-ბარის ქანაგები“, 06.50 — „სოფლის დილა“, 07.30 — ამინდის ბიუროს ცნობა, 07.31 — „დილის კონცერტი, 18.00 — გაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა (მოსკოვიდან), 08.32 — კამერული მუსიკა, 09.25 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.45 — მღერის ლ. გეველია, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (მოსკოვიდან), 11.05 — აფხაზეთის კომპოზიტორთა ნაწარმოებები, 11.40 — „თანამედროვეობის მხარდამხარ“, 12.30 — კომენტარი საერთაშორისო თემაზე, 13.00 — „დრო, მოვლენები, ადამიანები“ (მოსკოვიდან), 13.30 — გაზეთ „პრავდის“ მოწინავე სტატია, 14.00 „ეურნალისტები და მუსიკა“. რადიოკომპოზიცია, 15.30 — მღერიან ნ. ბრეგვაძე და ანსამბლი „ორერა“ (მოსკოვიდან), 17.10 — გადაცემათა პროგრამა, 17.15 ხ. ცინცაძე. მეექვსე სიმებიანი კვარტეტი, 17.40 — მოსწავლეთათვის „დღეს მაისი ფერში ნაირ-ნაირია“, ლექსები, 18.10 — „მელოდია, რიტმი, განწყობილება“ (კონცერტი), 19.00 — „დიადი მეგობრობა“, 19.20 — ქართული ხალხური სიმღერები, 20.30 — „მეცნიერება და ტექნიკა“. რადიოეურნალი, 21.00 — „ძილისპირული“, 21.15 — „მხიარულ ტალღაზე“, 22.00 — ა. მაჭავარიანი. მეორე სიმფონია, 22.50 — „ხვალ — რადიითი“, 23.30 — კ. შულჟენკოსა და მ. ბერნესის კონცერტი.

ოლიმპია

4 მაისი

ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — ლაურა ანიხოს; ოუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ალაკო (კრეადეოა); მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ოცდაერთი ამბავი, ვახო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — უარამანს ქალი მოუავს; მინიატიურების სახელმწიფო — ნაკრებები; მეტეხის თეატრი-სტუდია — ბანკეტის დღე.

თბილისი, ბამბარჯვების პარკი. სურათზე: გუშინ უცნობი ჯარისკაცის საფლავთან.

ხ. კილაძის ფოტო.

საქართველოს რაიონებში

გაჯაფხული გორის გაღ-მინდვრებში

ხეხილის გაღეებში

ამ დღეებში საზოგადოებრივი მეურნეობების ხეხილის ბაღებში 15.487 ჰექტარზე დამთავრდა სხვადასხვა სახის ზეთებით ხეხილის შეწამვლა, ხოლო ამუამად ხეხილის პირველი კომბინირებული შეწამვლა მიმდინარეობს.

ამ სამუშაოების მაღალხარისხოვნად და დროულად შესრულებაში დაჭინაურდნენ ტყვიავის, ზეიდულეთის, შავშვების, კარალეთისა და ძევერის საზოგადოებრივი მეურნეობები.

უხვი ბოსტნეულისათვის

შუანასკნელი დღეების უამინდობამ ვერ შეანელა რაიონის მებოსტნეთა შრომითი ენთუზიაზმი. მათ 816 ჰექტარზე უკვე დათესეს ხახვი, სტაფილო, სუფრის ჭარხალი. ამ დღეებში დაიწყება პამიდორისა და კომბოსტოს ჩითილების რეკვის სამუშაოები.

წელს რაიონის მებოსტნეებმა 16.200 ტონა ბოსტნეულის დამზადება იკისრეს, ეს საგვამო დავალებაზე 1020 ტონით მეტია. მაღალი მიჯნები დაისახეს ბერბუკის სახელოთა მეურნეობის იმ ბრიგადის მშრომელებმა, რომელსაც სოციალისტური შრომის გმირი ა. ლოლიჯაშვილი ხელმძღვანელობს. მათ გადაწყვიტეს სამუშაოდ ჰექტარზე 165 ცენტნერი ბოსტნეული აწარმოონ და სახელმწიფოს 610 ტონის ნაცვლად 850 ტონა ბოსტნეული მიჰყიდონ.

დამრიგებლობის სიკეთე

ძევერის საბჭოთა მეურნეობის ახალგაზრდა მეხილე ეთერ წიქარიძე შრომამი მიღწეული თვალსაჩინო წარმატებებისათვის ლენინური კომკავშირის პრემიის ლაურეატი გახდა. ქალიშვილის ასეთი წარმატება დიდად ახარებს მის აღმზრდელს — ძევერის საბჭოთა მეურნეობის მე-3 ბრიგადის ბრიგადირს, სოციალისტური შრომის გმირს მარიამ ჩიხლაძეს. მოწაფეს შრომა დაუფასდა, დამრიგებელს — ამაგი.

მეურნეობაში ბევრია ასეთი გულისხმიერი დამრიგებელი და სწორედ ამიტომაც არის, რომ ვეტერანი თუ ახალგაზრდა ერთნაირი მონდომებითა და შემართებით საქმიანობს ხეხილის ბაღებში და სიბოსტნე ფართობებზე.

ბ. ვაშაკიძე.

„კომუნისტის“ კორ.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროში

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო იუწყება, რომ ხალხსასწაულო დღეებთან დაკავშირებით 7,8 და 9 მაისს რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მეცადინეობა არ მოეწყობა.

(საქინფორმი).

ფეხბურთი

უმაღლესი ლიგა

□

„დინამო“ — ერთპიროვნული ლიდერი

„დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) — „დინამო“ (თბილისი) — 0:1 (0:0)

თბილისის დინამოელთა ყოველი მატჩი სადაც უნდა იმართებოდეს იგი, შინ თუ სტუმრად, უურადღების ცენტრშია ხოლმე. ცხადია, ესოდენ დიდი ინტერესი თბილისელებისადმი განპირობა იმან, რომ გუნდი უკანასკნელ წლებში შინაც და სტუმრადაც უპირატესად ერთნაირი შემართებით თამაშობს.

ამის დამადასტურებელია „დნეპრთან“ გამართული მატჩიც.

თბილისელები დნეპროპეტროვსკში თავისი ერთ-ერთი სხაპერის — რამაზ შენგელიას გარეშე ჩავდნენ (იგი სსრ კავშირის ახალგაზრდულ ნაკრებში სათამაშოდ იყო გაწვეული). ცხადია, ამან გარკვეული სიძნელეები შეუქმნა კოლექტივს, მაგრამ თბილისელთა სახიფათო კონტრერიშებს, შესანიშნავად წამოწყებულ კომბინაციებს საბოლოოდ არ შეეძლებოდა გოლი არ მოჰყოლოდა. დინამოელთა მეცადინეობას უკვალოდ არ ჩაუვლია: მატჩის 86-ე წუთზე გუცაევის მიერ ოსტატურად ჩაწოდებულ ბურთს დაეუფლა ყიფიანი, რომელმაც დაახლოებით 16 მეტრის მანძილიდან იგი მასპინძელთა კარის ზედა კუთხეში მოათავსა.

ამ ერთადერთმა გოლმა „დინამოს“ მეტად საჭირო გამარჯვება მოუპოვა, იგი გათამაშების ერთპიროვნულ ლიდერად აქცია.

თბილისის „დინამომ“ დნეპროპეტროვსკში ასეთი შემადგენლობით ითამაშა: **გაბელია, ხიზანიშვილი, კანთელაძე, ხინჩაგაშვილი, მუჯირი, ჩივაძე, მ. მაჩაიძე, ქორიძე, გუცაევი, ყიფიანი, ხელებაძე.**

დუბლიორები — 1:0 „დინამოს“ სასარგებლოდ. გოლი გითანა ებანოიძემ.

სხვა მატჩები

გთავაზობთ უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის მეხუთე ტურის დანარჩენ შეხვედრათა შედეგებს:

„პახტაკორი“-„არარატი“ — 2:0, „ნეფტჩი“-„კაირატი“ — 1:0, „ჩერნომორეცი“-„შახტიორი“ — 1:0, „ზარია“-„დინამო“ (კ) — 1:2, „ლოკომოტივი“-„ტორპედო“ — 0:0, „ზენიტი“-„ცსკა“ — 2:1, „დინამო“ (მ)-„სპარტაკი“ — 2:1.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 4 მაისისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ (თბ.)	5	4	1	0	7-2	9
„ტორპედო“	5	3	2	0	8-0	8
„ზენიტი“	5	3	1	1	8-8	7
„შახტიორი“	4	3	0	1	6-3	6
„დინამო“ (კ.)	5	2	1	2	6-4	5
„პახტაკორი“	5	2	1	2	10-9	5
„დინამო“ მ.	4	2	1	1	5-4	5
„ლოკომოტივი“	5	1	3	1	6-6	5
„ჩერნომორეცი“	5	2	1	2	5-5	5
„კაირატი“	5	2	1	2	6-9	5
„ზარია“	5	2	0	3	6-7	4
ცსკა	5	2	0	3	5-6	4
„ნეფტჩი“	5	1	1	3	2-4	3
„არარატი“	5	1	1	3	2-5	3
„დნეპრი“	5	1	0	4	2-6	2
„სპარტაკი“	5	1	0	4	3-9	2

პირველი ლიგა

გაიმარჯვეს

გაიმართა პირველი ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო ახპარეზობის მეექვსე ტურის მატჩები. შედეგები ასეთია:

„ტავრია“ (სიმფეროპოლი)-„ნისტრუ“ (კიშინიოვი) — 4:0, ასკ (დონის როსტოვი)-„სპარტაკი“ (ივანო-ფრანკოვსკი) — 3:0, „თერეკი“ (გროზნო)-„შინაკი“ (იაროსლავლი) — 1:0, „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე)-„დინამო“ (ლენინგრადი) — 2:0, „პამირი“ (დუშანბე)-„დინამო“ (მინსკი) — 1:1, „კოლხეზჩი“ (აშხაბადი)-„ყაზგორისი“ (ვილნიუსი) — 1:1, „ყუბანი“ (კრასნოდარი)-„კუზბასი“ (კემეროვო) — 2:1, „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე)-ასკ (ოდესა) — 1:1.

გუშინ ქუთაისის „ტორპედომ“ მიიღო ლვოვის „კარპატი“. ქუთაისელებმა გაიმარჯვეს ანგარიმით 2:0. 35-ე წუთზე შელიამ გახსნა ანგარიში, ხოლო 70-ე წუთზე ფარულავამ დაწინაურა გუნდი. 83-ე წუთზე მ. კვერნაძემ მოიგერია 11-მეტრიანი საჯარიმო.

ქუთაისელებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშეს: მ. კვერნაძე, გვაბაძია (ა. კვერნაძე), სულაქველიძე, მელიქია, თევზაძე, ფარულავა, ბურკაძე (კაპანტრიაძე), ქვირია, ფუსტვენიძე (გაბიჩვაძე), ხვანაძე, შელია.

მეორე ლიგა

მხოლოდ ერთი ფრე

გაიმართა „ა“ კლასის მეორე ლიგის IV ზონის ფეხბურთელთა ასპარეზობის მერვე ტურის მატჩები. ამ შეჯიბრების მონაწილე საქართველოს ექვსი გუნდიდან მხოლოდ ერთმა შეძლო ქულის მოპოვება. ეს არის ბათუმის „დინამო“, რომელმაც სტუმრად ფრედ (0:0) დაამთავრა შეხვედრა პერმის „ზვეზდასთან“. საქართველოს დანარჩენმა გუნდებმაც გასცლითი მატჩები გამართეს. აი შედეგებიც: „ზენიტი“ (იჟევსკი)-„დინამო“ (სოხუმი) — 1:0, „ურალეცი“ (ნიჟნი ტაგილი)-„გურია“ (ლანჩხუთი) — 2:1, „დინამო“ (ციოლი)-„ლოკომოტივი“ (სამტრედია) — 1:0, „დრუჟბა“ (ომსკარ-ოლა)-„ფილა“ (ბორი) — 2:0, „რუბინი“ (ყაზანი)-„დინამო“ (ხუდადი) — 1:0.

რვა ტურის შემდეგ გათამაშებას ლიდერობს ამოვიანის „კოტაიკი“ — 15 ქულა.

საქართველოს ჩემპიონატი

ორი ლიდერი

გაიმართა რესპუბლიკის ჩემპიონატის XII ტურის მატჩები. შედეგები ასეთია:

ასკ (თბილისი)-„ივერია“ (ხაშური) — 0:0, ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი)-„სალხინო“ (ვეგეტკორი) — 2:1, „ეგრისი“ (ცხაკაია)-„მერცხალი“ (ბახარიძე) — 1:1, „იბერია“ (ქარელი)-„დურუჯი“ (ესენლი) — 1:0, „ენერგეტიკოსი“ (თერჯოლა)-„მეტალურგი“ (ზესტაფონი) — 2:0, „სპორტაჟი (თბილისი)-პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) — 1:5 „მზიური“ (გალი)-„სპორტაჟი“ (ცხინვალი) — 3:1, „მაღაროელი“ (ციალენა)-„სქური“ (წალენჯიხა) — 5:3, „მეშახტე“ (ტყიბული)-„კოლხეთი“ (ფოთი) — 1:0, „მეტალურგი“ (რუსთავი)-„კოლხეთი“ (ხობი) — 3:0, „ჩიხურა“ (საჩხერე)-„ნაოიკვარი“ (თელავი) — 4:1.

ახპარეზობახ ლიდერობენ ფოთის „კოლხეთი“ და ტყიბულის „მეშახტე“, ლიდერებს 11-11 თამაშიდან 17-17 ქულა აქვთ.

პრიზი იერიშეგის „კონსტრუქტორს“

დავით ყიფიანს — „ბროლის ლარნაკი“

საქართველოს სპორტკომიტეტმა დაარწმუნა პრიზი — „ბროლის ლარნაკი“ — „ყველაზე მეტი საგოლო გადაცემისათვის“. ეს ჯილდო განკუთვნილია თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებისათვის. შარშანდელი შედეგების მიხედვით ბროლის ლარნაკი გადაეცემა დავით ყიფიანს. მან შარშან 13 გოლი გაიტანა, ხოლო თანაგუნდელებმა მისი ზუსტი გადაცემების მერე 14-ჯერ აიღეს მეტოქეთა კარი. (ხაინფორმი).

კოლეი

ოთხი ტურის შემდეგ

ჰრალაში, ჰოკეისტთა მსოფლიო ჩემპიონატის მეოთხე ტურის მატჩები ასე დამთავრდა: სსრ კავშირი-გდრ — 10:2, კანადა-გფრ — 6:2, ჩეხოსლოვაკია-აშშ — 8:3, შვეიცარია-ფინეთი — 6:1.

მეოთხე ტურის შემდეგ მსოფლიო ჩემპიონატის გათამაშების ცხრილში 8-8 ქულით კვლავ ლიდერობენ შვეიცარიელები, ჩეხოსლოვაკიისა და სსრ კავშირის ნაკრები გუნდები, კანადელებს 2 ქულით ნაკლები აქვთ.

მოკლედ

სამბო. დუშეთში დამთავრდა პირად-გუნდური პირველობა რესპუბლიკის სოფლის სპორტსმენთა შორის. გუნდურ ასპარეზობაში ყველას ჯობია თელავის ნაკრებმა. მეორე ადგილზე გავიდნენ ჯასპელები, მესამეზე — ლენტეხელები. წონითი კატეგორიების მიხედვით პირველი ადგილები მოიპოვეს გ. ფოთოლაშვილმა, გ. ნეკრასაშვილმა, თ. წოთელაურმა (სამეგრელო — თელავი), გ. ძმაშვილმა, გ. სინჯარაძემ (ორიგე — დუშეთი), გ. გორგაძემ (ასპი), ჯ. კულჯაშვილმა, მ. ჩარქსელიანმა (ორიგე — აკორა), თ. ჩუბინიძემ (გარდაბანი) და კ. არაბულმა (თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი).

ფეხბურთი. რიო-დე-ჟანეიროში გაიმართა ბრაზილიისა და ბერუს ნაკრები გუნდების შეხვედრა. „მარაკანას“ სტადიონზე მატჩს ესწრებოდა 145 ათასი მაყურებელი. ბრაზილიელებმა დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვეს — 3:0. გოლები გაიტანეს ზიკომ და რონალდომ (2).

მძლეოსნობა. ჰელსინკში გაიმართა მსოფლიოსანთა შეჯიბრება 25 კილომეტრზე რბენაში. გათამარჯვა ფინელმა სტაიერმა ე. ლეპსონენმა — 1 საათი, 15 წუთი და 15 წამი. გამარჯვებულს სულ რაღაც 7 წამით ჩამორჩა მიხაკელი გ. მერკუშინი.

ჩოგბურთი. ლამთიერდა საქართველოს თასების გათამაშები. ვაკეთა გუნდების ფინალურ შეხვედრაში თბილისელებმა დაამარცხეს აჭარის ნაკრები ანგარიმით 3:0. ქალთა შორისაც თბილისელებმა იმარჯვეს. მათ ფინალში მოუგეს აფხაზეთის ნაკრებს — 4:0.